პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი მხედარი

1923
აგვისტო
2
ხუთშაბათი
მზე ამ. 3 ს. 42 წ.
მზე ჩას. 20 ს. 28 წ.
შესან. მოვლენათა დღიური
1552 წ. ქ. ყაზანის დაპყრობა.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 332 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 50.000 მანეთი. № 332

განცხადება

7 აგვისტოს დანიშნულია 1 დივიზიის პარტ-კომისიის სხდომა, სადაც უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ალონია გიორგი იაგორის-ძე მე-2-რე ლეგიონი, გეგელია ბიკენტი ალექსის-ძე 3 მე ლეგიონი.

ბერნუხომოვი პავლე მიხეილისძე ცხენ. ლეგიონი, ქადაგიშვილი კოსტა ილარიონისძე არტ. ნაწილი, ჩერკაშინ მიხაილ ანტონისძე ავტოჩასტი, შალამბერიძე გიორგი ალექსისძე პოლიტ.-გან. კოპაძე ანდრო მიხეილისძე. ევალება აღნიშნულ ნაწილების სამხკომებს გამოგზავნონ აღნიშნული პირები 7|VIII 1 ქარ. დივიზიის პარტ.-კომისიაში.

პარტ-კომიის მდივანი **ლომიძე.**

ინგლისის პროლეტარიატის ანტიმილიტარისტული დემონსტრაციის გამო.

„ძირს ომი!“—ასეთი ლოზუნგით გამოვიდა ინგლისის მუშათა კლასი მსოფლიო ომის დასაწყისის წლის თავზე.

ამ დღეს ინგლისის ყველა კუთხეებში მოეწყო გრანდიოზული დემონსტრაციები, სადაც ინგლისის პროლეტარიატმა, როგორც ერთმა, გაილაშქრა მომავალ ყაჩაღური ომის წინააღმდეგ, რომლის მოწყობას ლამობენ ევროპის იმპერიალისტები.

ხსენებულმა ანტი-მილიტარისტულმა დემონსტრაციამ—ინგლისის მუშათა მასსებისა—ნათლად დაგვანახა ჩვენ, თუ რამდენად დიდათ გაიზარდა კლასიური თვითშეგნება მუშათა კლასში იმპერიალისტური ომის შემდეგ.

მსოფლიო ომმა გაანადგურა და ჩაჰყლაპა აურებელი სიმდიდრე, რომელიც ათეული წლეებით შექმნა პროლეტარიატმა.

ომმა მოშალა აგრეთვე წარმოება, ტრანსპორტი და დასცა საწარმოო ძალები.

უმუშევრობის ზრდა, სრული გაღატაკება ფართო მუშათა მასსებისა, შიმშილობა, ფაშიზმის ზრდა, თეთრი ტერორი—აი რა მისცა ომმა მუშათა კლასს.

ცხადია, ყველაფერი ეს ნათელი უნდა გამხდარიყო მისთვის.

იდეია—მთლიანი მუშათა ფრონტისა, დღითი დღე პოულობს ენერგიულ გამოძახილს ევროპის პროლეტარიატში.

თუ წინათ, იმპერიალისტური ომის დასაწყისში, მუშები ადვილად წამოეგენ ბურჟუაზიის შოვინისტურ ანკესზე, დღეს სრული იმედით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ასეთი მოვლენა არას დროს აღარ განმეორდება კაცობრიობის ისტორიაში.

ამის საუკეთესო საბუთს წარმოადგენს ინგლისის მუშათა კლასის დემონსტრაციები მიმართული ომის წინააღმდეგ.

„ჩვენ მოვითხოვთ ინგლისის ჯარების გაყვანას გერმანიიდან, ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვას, საბჭოთა მთავრობის ცნობას, საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას, რომელზედაც ინგლისმა წინადადებით უნდა მიმართოს ყველა სახელმწიფოებს მოხდეს ერთ და იმავე დროს განიარაღება ურთიერთ შორის შეთანხმებით“. ასეთი წინადადებით მიმართა მუშათა კლასმა თავის მთავრობას

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ინგლისის ბურჟუაზია ამ დემონსტრაციებს ისეთივე პასუხს გასცემს როგორც ბ ნ სნოუდენის წინადადებას პარლამენტში. ჩვენ ისიც ვიცით, რომ მიუხედავად ასეთი პროტესტებისა, ევროპის იმპერიალისტები მაინც განაგრძობენ თავისი შეიარაღების გადიდებას და იმპერიალისტურ პოლიტიკის წარმოებას.

ს. ს. რ. კ. ცაკის თავმჯდომარე



ამხ. პეტროვსკი

ბრიანის ქარხნის ყოფილი ხარატი, ძველი პარტიული მუშაკი, რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის წევრი და უკრაინის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრი. ს.ს.რ.კ. ცაკის უკანასკნელ სესიის სხდომაზე ამორჩეული იქნა ს.ს.რ.კ. ცენტრალ. აღმ. კომიტეტის ერთერთ თავმჯდომარეთ ოთხ თავმჯდომარეთა შორის უკრაინიდან.

მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვართ რომ მორიგი სისხლის მღვრელი ავანტიურის მოწყობას მსოფლიო ყაჩაღები ვეღარ შესძლებენ, რადგან ომის შემდეგ ინტერნაციონალური სოლიდარობა მსოფლიო მუშათა კლასში არ-მც თუ მოისპო, არამედ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა.

თუ დღეს გამოფხიზლებული ინგლისის მუშათა მასები პროტესტებით გამოდიან იმპერიალისტების საქმიანობის წინააღმდეგ, ხვალ, ახლო მომავალში კომინტერნის მეთაურობით ისინი იერიშს მიიტანებენ მომაკვდავ კაპიტალიზმზე.

მხოლოდ მთლიანი მუშათა ფრონტით სასტიკი შეიარაღებული ბრძოლით და მუშათა-გლეხთა დიქტატურის საშვალებით ბოლოს მოუღებს მსოფლიო პროლეტარიატი კაპიტალის იმპერიალისტურ თარეშს მხოლოდ ამ გზით სამუდამოთ აიცილებს ის სისხლის მღვრელ ომის საფრთხეს.

პრესა

საბჭოთა რუსეთის და პოლონეთის დამოკიდებულება პოლონეთში უკვე გადამდგარ პილსუდსკისა და სიკორსკის კაბინეტების დროს არ ყოფილა კეთილ მეზობლური, თუ გინდ იმ მხრივაც, რომ ამას მოითხოვდა ორივე სახელმწიფოების ეკონომიური ინტერესები. აღნიშნულ კაბინეტებს ვერ მოენელებიათ საბჭოთა რუსეთი და მათი თვალი ყოველთვის მიპყრობილი იყო საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრებისაკენ. ეს დამოკიდებულება რამოდენიმეთ შეიცვალა რუსეთსა და პოლონეთს შორის, როდესაც პოლონეთის სათავეში მოექცა ვიტოსის კაბინეთი. როგორც მსხვილი ბურჟუაზიის და კულაკების მთავრობა მოსალოდნელი იყო, რომ ეს კაბინეთი რუსეთთან აწარმოებდა უფრო საქმიან პოლიტიკას და ხელს აიღებდა იმ ავანტიურისტულ მოქმედებაზე, რომელსაც ასე გულმოდგინეთ-მისდევდენ მისი წინაპრები, პილსუდსკი და სიკორსკის კაბინეტები. ასეთი შეტრიალება რუსეთ პოლონეთის დამოკიდებულებაში აუცილებლად მისალმების ღირსი იქნებოდა ორივე ხალხების ეკონომიური ინტერესებისათვის, მაგრამ გამოირკვა რომ თურმე როგორც ჰქუხს ისე არა სწვიმს.

ამხან. რადეკი მოსკოვის პრავდას მოწინავეში ეხება რა ვიტოსის მიერ ტარნოვოში წარმოთქმულ სიტყვას პოლონეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ, სწერს:

„ამ დღეებში პოლონეთის პრემიერ ვიტოსმა ქ. ტარნოვოში წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც გააბათილა ჩვენი შეხედულება იმ მხრივ, რომ პოლონეთის მთავრობამ ხელი აიღო თავის ავანტიურისტულ მიდრეკილებისაგან. ბ. ვიტოსი აცხადებს, რომ მისი კაბინეთი ხელს იღებს დასავლეთისაკენ პოლონეთის საზღვრების გაფართოებაზე, მაგრამ უარს არ ყოფს ასეთ სურვილებს აღმოსავლეთისაკენო“.

შემდეგ ამხ. რადეკი უკეთებს რა ანალიზს პოლონეთს საზოგადოებრივ აზრს ამ სიტყვის შესახებ, საფრანგეთ-პოლონეთის დამოკიდებულებას პოლონეთ ჩეხო სლოვაკიის ურთიერთ ინტერესების წინააღმდეგობას, მეორე მხრივ თვით პოლონეთის მდგომარეობას აღმოსავლეთში, რომ ბალტიის მხარეზე მეზობელ სახელმწიფოებს სრულიად არ ეპიტნავებათ პოლონეთი ხოლო თუ არიან დროებით მასთან, ეს საბჭოთა რუსეთის შიშით, ამბობს:

„ასეთ პირობებში იმის უბრალო გაფიქრებაც კი, რომ ვიტოსის მთავრობას განზრახული აქვს გააგრძელოს პილსუდსკის ძველი პოლიტიკა საბჭოთა ქვეყნების მიმართ, ძირშივე ჩაკლავს საბჭოთა მთავრობის ყოველგვარ სურვილებს (თუ გინდ ეკონომიურად დიდი მსხვერპლის გაღებითაც) დაამყაროს პოლონეთთან რაიმე კეთილ მეზობლური განწყობილება, რადგან საბჭოთა მთავრობა საკმაოდ რეალურ ნიადაგზე სდგას, რომ ქიმერებს არ გამოედევნოს. თუ პოლონეთი ხელს არ აიღებს პილსუდსკის პოლიტიკაზე, საბჭოთა რუსეთის და პოლონეთის დამოკიდებულება იქნება ყოველთვის საომარი დამოკიდებულება. ჩვენ გვინდა ეს ავიცდინოთ თავიდან, და მშვიდობიანური დამოკიდებულების დამყარებისათვის საჭიროა აქეთკენ მისწრაფება ორივე მხარეებისაგანო“!

დეპეშები

— ბულგარეთში გრძელდება მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე. მოკლული არიან სტამბულინსკის პირადი მდივანი კალჩევი და გლეხთა პარტიის ლიდერი კოკოვი.

— ბულგარეთში დაიწყეს რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების ბინების ჩხრეკა.

— ანგორაში არჩევნებში იმარჯვებენ ქემალისტები.

— ამერიკაში მოახდინეს საზღვაო ძალების დიდი დემონსტრაცია.

— ქალაქ მალტის არჩევნებში გავიდა უმეტესობა ქალებისა.

— შეერთებულ შტატებში, ვერფებზე მოხდა შეტაკება ნეგრებსა და თეთრების პოლიციელთა შორის.

— უკვე დაიწყო მუშაობა „ტფილის-ბაქოს საჰაერო ხაზის მოწყობის საქმეში.

— ბერლინში მოხდა 18 მრავალ რიცხოვანი კრებები. მოწყობილ იქმნა დემონსტრაციები სხვა და სხვა ქალაქებში.

— პუანკარე უარზეა მოახდინოს რურის ევაკუაცია, სანამ გერმანიას არ მოიყვანს სრულს მორჩილებაში.

სხვა და სხვა ამბები.

საზღვაო დემონსტრაცია

ამერიკაში (ქალაქის სახელი დამახინჯებულია) მოხდა დიდი საზღვაო დემონსტრაცია. 50 სამხედრო გემი სალიუტით შეხვდენ გარდინგის მისვლას. თავის სიტყვაში გარდინგმა კვეხნით განაცხადა, რომ ამერიკის ფლოტი ამ ჟამად არა ნაკლებ ძლიერია, ვინემ ინგლისისო.

სანავთო წარმოება

ქალაქ ჩიკაგოს ყრილობაზე ამერიკის მსხვილ ნავთის მწარმოებლებმა გადასწყვიტეს შეაჩერონ ქარხნებში ნავთის გამოხდა მთელი აგვისტოს განმავლობაში, რათა ზედმეტი ნაწარმოების დაგროვებით საზოგადოთ უკანასკნელზე ფასები არ დაეცეს.

ივერიელი

ბულგარეთი.

დამოკიდებულება ბულგარეთის კომპარტიასთან.

შინაგანი სისუსტე უსათუოდ ხელს შეუშლის ბულგარეთის მთავრობას გამოაცხადოს ბულგარეთის კომპარტია ფორმალურად კანონს გარეშე, თუმცა სინამდვილეში კი მთავრობა ხელს უშლის კომპარტიის ლეგალურ მოღვაწეობას, კრძალავს მიტინგებსა და კრებებს, ახდენს მასიურ დატუსაღებას და გაზეთების კონფისკაციებს.

უკანასკნელ დღეებში დატუსაღებულია პროფკავშირთა მდივანი დიმიტროვი და რედაქტორი კომპარტიის ორგანოს „მუშათა უწყებისა“.

რეპრესიები რუსების წინააღმდეგ.

ბულგარეთში სწარმოებს ჩხრეკა რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების ბინებში და აგრეთვე ორგანიზაციებში რუსეთის რეპატრიატებისა „სოვნაროდში“, ყველა წევრები კომიტეტისა დაპატიმრებულია. სოფიაში დატუსაღებულია 70 კაცი, ადგილებზე 300-ზე მეტი. „სოვნაროდმა“ შესწყვიტა თავისი მოღვაწეობა, გაზეთი რეპატრიატებისა „ახალი რუსეთი“ აღარ გამოდის.

მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე.

ბულგარეთში გრძელდება მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე. გლეხთა პარტიის ბელადი, ყოფილი ბურგომისტრი სოფიისა პოპოვი, და აგრეთვე პირადი მდივანი სტამბულინსკისა კალჩევი, რომლის გაქცევის შესახებ ბულგარეთის მთავრობა გვაუწყებდა, სინამდვილეში მოკლული ყოფილა.

ლატვია.

საპყრობილეში პოლიტიკურ პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს. პატიმრები მოითხოვენ ცემის მოსპობას, საპყრობილის. ჯალათთა პასუხისგებაში მიცემის და პოლიტიკურების გამოყოფას ცალკე სხვა პატიმართაგან.

ანგორა.

ქემალისტების გამარჯვება არჩევნებში

საარჩევნო კომპანია თავდება. დიარბექირსა და ერზერუმში ქემალისტებმა გაიმარჯვეს.

საზავო ხელშეკრულობისათვის.

მთავრობის წევრებმა გაზ. „ვაკიტის“ თანამშრომლებს განუცხადეს, რომ ზავი ოსმალეთს საშუალებას აძლევს ეკონომიურ ასპარეზზე მუშაობისას.

მათ განაცხადეს, რომ აუცილებელია ზრუნვა გლეხებზე და ქვეყნის საზოგადოებრივი კულტურის მაღლა აწევა.

ალიფაუდი აღნიშნავს, რომ იქნებოდა დიდი გულუბრყვილობა იმაზე ფიქრი, რომ თითქოს ხელშეკრულობა [illegible] ოსმალეთის დამოუკიდებლობის საქმეში.

შვეცია.

სარკინისგზო ინდუსტრიის მუშათა შორის.

მუშებმა ხმის უმეტესობით უარჰყვეს წინადადება იმ კომისიისა, რომელმაც იკისრა შუამავლობა სარკინისგზო ინდუსტრიის ლოკაუტის შეწყვეტის შესახებ. ლოკაუტთან დაკავშირებით შემჩნეულია მუშათა ემიგრაცია ამერიკაში.

ახლო აღმოსავლეთი.

მუსტაფა ქემალი.

მუსტაფა ქემალი დარჩება სმირნაში კიდევ ერთი კვირა იზმეტ ფაშას მოლოდინში, რომელთან ერთად ის დაბრუნდება ანგორაში.



კონრადი

ამხ. ვოროვსკის მკვლელი

კონრადი ყოფილი ქ. პეტროგრადის მსხვილი ფაბრიკანტია. მსახურებდა ოფიცრად დენიკინის ჯარში. კონრადი წევრი იყო შვეიცარიის ფაშისტური ორგანიზაციისა (შავრაზმელების), რომლებმაც მოამზადეს ჩვენი წარმომადგენლის ამხ. ვოროვსკის მკვლელობა ლოზანაში.

ზავი ცრემლებით.

„ენი გიუნ“-მა დაბეჭდა ტელეგრამა ქალაქ კილისის 15 ათასიანი მცხოვრებლების სახელით, რომლებიც დარჩენ სირიის საზღვარს გარედ. ტელეგრამაში ნათქვამია: „კილისის მოსახლეობა თვალცრემლიანი მიეგება ზავს. იმ შემთხვევაში, თუ კილისის ოსმალეთზე შეერთება უარჰყვეს, ჩვენ არ ვაგებთ პასუხს საზღვართან მეგობრულ განწყობილების დაცვაში.“

ქალები არჩევნებში.

ქალაქ მალატიის არჩევნების დროს მრავალი ხმები მიიღო ქალთა კანდიდატურებმა.

მილოცვა მსოფლიო პატრიარქატისა.

მსოფლიო პატრიარქატმა მილოცვითი ტელეგრამით მიმართა მუსტაფა ქემალფაშას ზავის შეკვრის გამო, სადაც გამოთქმულია სალამი ბერძენთა მოსახლეობიდან კონსტანტინეპოლში.

ოსმალეთ-ამერიკის მოლაპარაკება.

მოლაპარაკება ოსმალეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, რომელიც დაწყებული იყო ლოზანაში, გაგრძელდება კონსტანტინეპოლში. ამერიკელებს სურთ მიიღონ ერთგვარი ფინანსიური და იურიდიული უპირატესობანი და უფლება აუცილებელ საჭირო ნივთების უფასოდ შეზიდვისა ახლო აღმოსავლეთში თავიანთ ჰოსპიტლებისა და სკოლებისათვის

შეერთებული შტატები.

რეიტლერის უწყებით ჩიკაგოდან, ვერვებზე მოხდა შეტაკება ნეგრებსა და თეთრების პოლიციელთა შორის. მოკლულია ერთი ნეგრი, სერიოზულად დაჭრილია ორი თეთრი პოლისმენი. ნეგრები შეიარაღებული იყვნენ რევოლვერებით.

მღელვარება გრძელდება.

კვირას ბერლინში მოხდა 17 მრავალრიცხოვანი კრებები. ქუჩებში მსვლელობის მოწყობას არავითარი შეტაკება არ გამოუწვევია პოლიციასთან.

დემონსტრაციები მოწყობილ იქმნა კელნში, კილესა და გაგენში.

კელნში მოხდა შეტაკება პოლიციასთან.

როზენ გეიგში მოხდა შეტაკებანი სოციალ-დემოკრატებსა და ნაციონალისტებს შორის, რომლებიც ცდილობენ გაეტეხათ პროფკავშირთა საბჭოს ბინა.

სასიკვდილოდ დაიჭრა ერთი მეტალისტი.

საკითხი კოალიციურ მთავრობაზე.

კუნოს მთავრობის უკმაყოფილება იზრდება, პარლამენტარულ წრეებში გაცხარებული კამათია კოალიციურ მთავრობის საკითხის გარშემო.

30 ივლისს შესდგება კრება სოციალ დემოკრატიულ პარტიის ც. კ. ი. სადაც განიხილავენ სოციალ-დემოკრატების მთავრობაში შესვლის საკითხს.

ინგლისის პოლიტიკა მესოპოტამიაში.

მოითხოვენ მთავრობას ს.ს.რ. კავშირისაგან. ტეგერანის სავაჭრო პალატამ მიმართა თხოვნით ს.ს.რ. კ. და სპარსეთს განცხადებით, რომელშიაც ნაჩვენებია, რომ ინგლისის პოლიტიკამ მესოპოტამიაში, რომლის მეოხებითაც განდევნილ იქნა მუსულმანთა სასულიერო მთავრები, რომლებმაც უარჰყვეს მორჩილება ინგლისის მთავრობისა, დიდი ზიანი მიაყენა მუსულმანთა რელიგიას. ტეგერანის სავაჭრო პალატა, რომელიც აღელვებულია ამ უფლების შელახვით, ითხოვს ეცნობოს ეს საბჭოთა მთავრობას. ისინი დაიმედებულნი არიან, რომ ამ პროტესტს მხარს დაუჭერს ს.ს.რ.კ.ს მშრომელთა მასები.

ბენეშის მოხსენება.

შაბათს გახსნილ მცირე ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენციაზე ბენეშმა გააკეთა მიმოხილვა ევროპის მდგომარეობისა და სარეპარაციო საკითხებზე. მცირე ანტანტის წარმომადგენლებმა გამოსთქვეს სურვილი, რათა ვენგრიას მიეცეს კრედიტი, პირობით, რომ უკანასკნელი მან არ გამოიყენოს შეიარაღებისა და პროპაგანდის საქმეში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში.

ჰაეროპლანი თბილისი-ბაქო

საჰაერო ხაზის „ტფილისი-ბაქოს“ მოსაწყობად განჯაში მივიდა კომისია მფრინავთა პოლეტაევისა და შაჩკის მონაწილეობით. კომისია შეუდგა ჰაეროდრომის მოწყობის საქმეს. მფრინავებმა წაიკითხეს მარტივი, ყველასთვის მისაწვდომი ლექციები ყაზანში აქსტაფაში და განჯაში.

საჰაეროფლოტზე.

კლენენდორფში დაიწყო შემოწირულებათი დაგროვება საჰაერო ფლოტის გასაძლიერებლად.

ექსკურსიები გამოფენებზე.

საექსკურსიო ბიურო ადერბ. საგამოფენო კომიტეტთან აწყობს ადერბაიჯანის მშრომელთა წარმომადგენლების ექსკურსიას სრულიად კავშირთა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. საერთო რიცხვი ექსკურსანტებისა არის 709. აქ იქნებიან სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენლები.

ინტერნაციონალიზაცია სკოლებისა.

სოციალურად აღზრდის სამმართველო „ბონი“ იმუშავებს გეგმას სკოლების ინტერნაციონალიზაციისას, რისთვისაც მიდის უკანასკნელთა გადასინჯვა.

ქალები ყრილობაზე.

სოფელ ვოლოდარსკში (გუმისტინის ოლქში) ყრილობაზე, რომელიც მიძღვნილი იყო სახალხო განათლების საკითხებზე, მონაწილეობდენ ქალები. ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც სალამს უძღვნის საბჭოთა ხელისუფლებას რომელსაც მოაქვს ქალებში განთავისუფლება და განათლება.

საჰაერო ფლოტის კვირა.

აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა 2-დან 9 აგვისტომდე დაადგინა ჩაატაროს საჰაერო ფლოტის კვირეული. ადგილების ორგანიზაციები განსაკუთრებულ ცირკულიარებით მოწვეულია კვირეულში აქტიურ მონაწილეობისათვის.

მილოცვები ქართულ მსროლელ მე-3-მე ლეგიონისადმი მისი ორი წლის იუბილეს გამო.

მესამე ქართულ მსროლელ ლეგიონის უფ-პოლიტ და წითელ-არმიელებს.

ცალკე კავკასიის არმიის პოლიტიკური სამმართველო გილოცავთ თქვენ ლეგიონის ორი წლის არსებობის თავზე საიუბილეო დღესასწაულს, და გამოსთქვამს ღრმა რწმენას თქვენი შეურყეველ ნებისყოფის და სურვილზე რათა გაძლიერებული სამხედრო პოლიტიკური მეცადინეობის წარმოებით, ყველა კომანდირების, წითელ არმიელების და პოლიტ-მომუშავეების საერთო შეთანხმებული ძალით მიაღწიოთ. თქვენი რიგების მომავალში უფრო გამაგრებას.

ცალკე კავკასიის არმიის პოლიტიკური სამმართველოს
უფროსი **ვრაჩევი**.

მე-3-მე ქართულ ლეგ. უფ-პოლიტშემადგენლობას და მხედრებს.

ბაქოს 21 ფეხოსან სკოლის კურსანტები, უფ და პოლიტშემადგენლობა უგზავნიან გულწრფელ სალამს და მილოცვას მე-3 მე ქართულ ლეგიონს, მისი ორი წლის არსებობის იუბილეს გამო.

საბჭოთა ხელისუფლების მტრები ჰფიქრობდენ და ეხლაც ფიქრობენ რომ საბჭოთა ხელისუფლება ვერ შესძლებს მეტად ძნელი ამოცანის გადაწყვეტას, საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერის განმტკიცებას.

მაგრამ ამიერ-კავკასიის მშრომელების მჭიდრო კავშირი რ. ს. ფ. ს. რ. და ს. ს. რ. საერთო ინტერესებმა უკვე აშკარად დაუმტკიცა მსოფლიო მტაცებლებს იმ ძლიერი ნების ყოფის არსებობა, რომლითაც მოკავშირე რესპუბლიკები ანხორციელებენ თავის სამეურნეო და კულტურული აღორძინების პროგრამას და ამასთანავე იბრძვიან საერთო მშვიდობიანობისათვის.

დე, სხვა და სხვა კერზონები ეცადონ საბჭოთა რესპუბლიკებზე პროვოკაციის გავრცელებას და მის სხვა და სხვა ავანტიურაში ჩათრევას.

ძლიერი რესპუბლიკების კავშირის მუშებისა და გლეხების ჯანსაღი გონება და მათი კლასიური არმიები მაგრად დაიჭერენ თოფს და ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ს. ს. რ. კ. საზღვრებს.

გაუმარჯოს ს. ს. რ. კ. მუშებისა და გლეხების ძმურ კავშირს.

გაუმარჯოს მესამე კომინტერნს, გაუმარჯოს ს. ს. რ. კ. შეიარაღებულ ხელს—წითელ არმიას და მის უდიდეს ბელადს ამხანაგ **ტროცკის**.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციის ბელადს ამხანაგ **ლენინს**.

სკოლის უფროსი: **მოსკალენკო**.

სამკომი **კელ**

საკავშირო კომისიის თავმჯდომარე **პიმენევი**.

მე-3-მე ლეგიონის უფროსს-

გულწრფელად ვწუხვარ, რომ ავადმყოფობა საშუალებას მისპობს მეც მონაწილეობა მივიღო ლეგიონის დღესასწაულზე.

საყოველთაო სამხედრო სწავლების თანამშრომელთა სახელით ულოცავ ბრწყინვალე მესამე ლეგიონს მის დღესასწაულს. ვუსურვებ ლეგიონს გაუურჩქნას და მთელ მის შემადგენლობას ჯანმრთელობას, ძალას და ენერგიას სულით ძლიერი და ძლევამოსილი წითელი არმიის შესადგენად.

ვაშა, მე-3-მე ლეგიონს.

საყოველთაო სამხ. სწავლების რაზმის უფროსი **ნ. თოფურიძე**.

მესამე ლეგიონის სამკომს და ლეგთავს.

კავკასიის პირველი დივიზიის მხედრების და უფპოლიტშემადგენლობას სახელით ვესალმებით მე-3-მე ქართულ ლეგიონის სახელოვან მხედრებს და უფ-პოლიტშემადგენლობის ლეგიონის ორი წლის არსებობის თავზე

გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას, რათა გმირული გამარჯვებებით გამოსულიყოთ მშრომელი ხალხის მტრებთან მომავალ შეჯახებებში.

გაუმარჯოს მესამე ქართულ მსროლელ ლეგიონს და მის მჭიდრო კავშირს კავკასიის პირველ მსროლელ დივიზიასთან.

კავკასიის 1 მსროლელ დივიზიის უფროსი: **იანოვსკი**.

დივიზიის სამხკომი: **რატნეკი**.

მე-3 მე ქართულ მსროლელ ლეგიონს

ჩვენ მე 3-მე ლეგიონის უფ. და პოლიტშემადგენლობა და წითელ ლაშქრელები დარჩენილნი ქ. ქუთაისში აღტაცებით ვეგებებით და ვუერთდებით ლეგიონის ორი წლის თავის არსებობის დღესასწაულს და მხურვალე გრძნობით გილოცავთ ამ დიად დღესასწაულს, ფიცსა ვდებთ ხელი ხელ ჩაკიდებული ვიმუშაოთ თქვენთან ერთად, და ყოველივე დავალებები შევასრულოთ პირნათლად მუშურ გლეხურ ხელისუფლების შესანარჩუნებლად. გაუმარჯოს მე-3-მე ლეგიონს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელის უფლებას, გაუმარჯოს წით. ლაშქარს.

შეერთებული ასთავი **ხვედელიძ**

სამხკომი **ს. ბახტაძე**

მესამე ქართულ. ლეგ. უფრ და სამხკომს.

წითელი არმიელები უფროს პოლიტშემადგენლობა ქართულ ვიზიის საარტილერიო ნაწილების გზავნით მხურვალე ამხანაგურ ლამს და გილოცავთ ლეგიონის ორი წლის თავს. თქვენ ხიშტებ და ჩვენ ზარბაზნებით წითელ შით ხელში ვიბრძოლებთ მჭიდრო კომინტერნის მოწოდებით მთელი მსოფლიო მშრომელთა საკეთილდღეოთ.

ჩვენს წითელ ჯარში

ჩვენი ცხოვრება ვაზიანში.

სამწყობრო სერიოზულ მუშაობასთან ერთად ახალგაზრდა წითელ არმიელები ქართულ არტილერიისა, ასწრებენ მუშაობას კულტ—განმანათლებელი მხრივათაც. დიდი სიხალისით ეგებებიან ჯერ კიდევ ნახევრად გაუნათლებელი ახალგაზრდობა სწრაფათ დაარსებულ სხვა და სხვა წრეების გამოძახილზე. ინსტიქტიურად, მაგრამ გრძნობით გულწრფელათ და სურვილით მუშაობის და განათლებისა დგებიან სხვა და სხვა წრეთა რიგებში, როგორიც არის დრამატიული, მომღერალთა და სხვა.

გაკვირვებას იწვევს ჩამოსული ნიჭი სოფლის გლეხისა; აგრეთვე მისი ენერგია, მოთმინება და შეთვისების უნარი და სულის სიმტკიცე. მუშაობისას ჩაფიქრებული, მაგრამ არა ბრაზი, თავისუფლებისას მხიარული და გულკეთილი. კიდევაც ასწრობს სიტყვის გადასროლას ამხანაგისადმი, რომელიც სავსეა ხუმრობის კილოთი, უბრალო გულუბრყვილო და რომელიც მოკლებულია ყოველივე უშვერო სიტყვებს. სიტკბოებით და სინაზით არის სავსე ყოველივე მისი სიტყვა მოქმედება და მოქცევა ჩვენი გლეხისა. არ გასულა ორი კვირა სხვა და სხვა წრეებში ყოფნისა რომ ჩვენმა წით. არმ. უკვე მოასწრეს დაედგათ დადგენილების თანახმად საღამო დივერტისმენტით ჩვენს პატარა კოხტა საბანაკო თეატრში. დაადგინეს და კიდევაც გაატარეს ცხოვრებაში, დადგეს ერთ მოქმედებიანი რევოლიუციონური პიესა „სულის მამა“ და შემდეგ სხვა და სხვანაირი დივერტისმენტი, სიმღერები, რომანსები, ლექსები. პიესა იყო დადგმული წითელ არმიელთა ძალებით, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მათზე. კიდევ და კიდევ არ შეიძლება რომ დიდი გაკვირვება არ გამოიწვიოს გუშინდელმა მიწის მუშამ თავისი თავ დაჭერილი მოქმედებით სცენაზე, რომლის უმრავლესობას არა თუ მიღებული აქვს მონაწილეობა სასცენო ასპარეზზე, არამედ თეატრიც არ უნახავს და სწორედ ამაში გამოიხატება ყოველივე. ბოლოს იყო ცეკვა ზურნის და დუდუკის ქვეშ, სადაც იღებდა მონაწილეობას ყველა... ქარი, როგორც მოგლეჯილი კიდევ ხმაურობდა, გუგუნებდა და თავისი მძლავრი და წოლვით ცდილობდა სიბრაზისაგან დაეგლიჯა ისედაც სუსტი კარვები, თითქოს შურს იძიებდა მხიარულად განწყობილ ახალგაზრდობაზე, მაგრამ წითელი ახალგაზრდობა არ ნელდებოდა, ყურადღებასაც არ აქცევდა და ისევ ჩვეულებისამებრ განაგრძობდა მხიარულ ხუმრობას, თითქოს სცდილობდნენ ქარის ზუზუნი ჩაეხშოთ...

ნარ-ნარად—ცოცხლად უკრავდენ ლეკურს, ბალდადურს და სხვას...

უკვე შუა ღამეს გადასცილდა... წ. არმიელები უხალისოთ ნელ-ნელა იშლებიან. მიდიან თავ თავიანთ კარვებისაკენ დასასვენებლად, რათა დილის თავის დროზე შეუდგენ მუშაობას. ახალი ძალით, საერთო ერთსულოვნებით ეტანებიან ყოველდღიურ და სერიოზულ სამხედრო გაწვრთნას. სიმხიარულეა ბანაკში. მეორე დღეს საღამო გამართეს სოფ. მარტყოფის სახალხო სახლში. თეატრი სავსე იყო მუდმივი მცხოვრებლებით, რომელთა შორის აქა იქ მოსჩანდენ შორიდან მოსულებიც. ალმასკომის თავმჯდომარემ გამოაცხადა წარმოდგენის შესახებ. სამხედრო კომისარმა არტილერიისამ წითელ არმიელების და უფადმსამნეო პოლიტშემადგენლობის სახელით მიესალმა გლეხებს, სადაც ხაზი გაუსვა კავშირის შესახებ წით. არმიელთა და გლეხთა შორის, მჭიდრო კავშირის აუცილებლობაზე. გლეხების სახელით მოგვესალმა ალმასკომის თავმჯდომარე. საღამო ჩატარდა მხიარულად, აქაც გამართეს ცეკვა, სადაც იღებდა მონაწილეობას გლეხობაც, რომლებიც დარჩნენ დიდათ კმაყოფილნი, და გვთხოვეს ასეთ საღამოების განმეორება. აგრეთვე დაგვპირდნენ ჩვენთან სტუმრობას და თავისივე ძალებით წარმოდგენის დადგმას.

გულწრფელათ და სიყვარულით მიიღეს თავისი ძმები რევოლიუციის არწივები, რომლებიც არიან მუდმივი დარაჯები პროლეტარულ რევოლიუციისა...

გამარჯვებით და მხიარულათ ატარებს თავის მოვალეობას, ჩვენი ქართული არტილერია, კულტშეფობას სოფელზე.

უსურვოთ მათ გამარჯვება ამ ფრიად სერიოზულ საქმეში...

მაისურაძე.

ჩვენი შეფობა.

25 ივნისს ქართულ მეთაურთა, 21-თს ბაქოს ფეხ. და აზერბაიჯანის სკოლებმა მიიღეს შეფობა ხუთ სოფელზე: ზეკოტა, იტრია, ჩუმათელეთი, ბიჯნისი და ურთხვა და 8 ივლისს—სამ სოფელზე: ტერჯი, სავანის ტეზერი და ყოფიანთ-უბანი.

შეფობა კომიაჩეიკებზე.

სკოლების პირველი ამოცანას შეადგენდა შეფობა იაჩეიკებზე. თავის რიცხოვნებით პატარა უმეტესად გლეხ ამხანაგებისაგან შემდგარი ადგილობრივი იაჩეიკები საჭიროებდნენ მათში მუშაობის გაჩაღებას, მუშაობის გაასკეცებას, მის წევრთა პოლიტიკურათ სათანადო მომზადებას. სკოლებმა დაუყონებლივ მიამაგრეს ამ იაჩეიკაზე აქტიური მუშაკები, და და ამ ჟამად თვითეულ იაჩეიკაში სისტემატიურად, ყოველ კვირაში კეთდება შინაარსიანი მოხსენებები, ტარდება საუბრები, იკითხება ახალი გაზეთები, მომაგრებულ ამხანაგების მიერ კეთდება პრესის მიმოხილვა და სხვა.

სულ სხვა სურათს დაგიხატავთ ეხლა იაჩეიკის ცხოვრება, თუ თვალს გადაავლებთ მის მუშაობას შეფობამდე და შეფობის შემდეგ.

შეფობა ა. კ. კ. იაჩეიკებზე.

აქაც საქმე შეფობის მიღებამდე სამართლიანად უნდა აღინიშნოს, არა დამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული. სკოლის ა. კ. იაჩეიკამ მისდია თავის უფროსს ამხანაგების მაგალითს და მათი ხელმძღვანელობით მიიღო შეფობა მთელ რიგ ა. კ. კავშირის ადგილობრივ იაჩეიკებზე:

რაში გამოიხატება ეს შეფობა.

გამოყოფილი სკოლების იაჩეიკებიდან ამხანაგები ყოველკვირეულათ აწყობენ მოხსენებას სხვა და სხვა თემებზე (ახალგაზრდების მოძრაობის შესახებ ქალაქსა და სოფლის კავშირის განმტკიცების შესახებ, წაკითხვა ა. კ. კ. წესდებისა, საჰაერო ფლოტის ისტორია და მისი მნიშვნელობა და სხვ.) იგზავნება გაზეთები, ჟურნალები, ტარდება ადგილობრივ ა. კ. კ. ერთად სხვა და სხვა კომპანიები და სხვ.

ქოხი-სამკითხველო.

სოფლებში სკოლების მიერ მოწყობილია ქოხი-სამკითხველოები, სადაც იგზავნება წიგნები, გაზეთები ჟურნალები და გლეხს დასვენების წუთებში ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს მიმდინარე ცხოვრებას, გაეცნოს რა იყო მისი ცხოვრება დღემდის, და რა არის დღეს.

იქვე იმართება ხმა მაღლა წაკითხვა გაზეთებისა და სხვ. დღემდის მარტო ქართულ მეთაურთა სკოლიდან სხვა და სხვა სოფლებში გაგზავნილია 417 გაზეთი.

დახმარება მინდორზე მუშაობაში.

მარტო ქართული მეთაურთა სკოლიდან დღემდის გაგზავნილია სხვა და სხვა სოფლებში, სხვა და სხვა დროს პურის მკაში დასახმარებლად 390 კურსანტი, 22 ცხენი, ასეთივეა დანარჩენ სკოლებიდანაც:

კლუბის მუშაობა.

კლუბის მიერ იმართება ინსცენიროვკები, პიესები, კინო სეანსები ფეხ-ბურთთა შეჯიბრებები, სპორტიული დღესასწაულები, რომელზედაც მიიწვევიან მცხოვრებთა დიდი რიცხვი.

მედიცინური დახმარება.

თვითეულ პუნქტში მიმაგრებულნი არიან სკოლებიდან ექიმი თანაშემწეებით, რომელნიც ადგილობრივ უჩენენ მედიცინურ დახმარებას მცხოვრებლებს. მიდიან რა ყოველ კვირეულად სოფლებში ექიმები, თან მიაქვთ პატარა აფთიაქები.

ასეთია ჯერ-ჯერობით ჩვენი შეფობის შინაარსი და მომავალში დარწმუნებული ვართ, რომ ეს შეფობა მიიღებს უფრო ფართე ხასიათს უფრო ახლო დააკავშირებს გლეხობას წითელ არმიასთან.

ტ—შე.

შაბათობა ცხენოსან ლეგიონში.

21 ივლისს, ქართულ ცხენოსან ლეგიონში გაიმართა შაბათობა. შაბათობას ხელმძღვანელობდა ამხანაგი მ. დადიანი და ჩვენი პოლიტხელი.

თითქმის ყველა წითელ არმიელები, უფროსთა და პოლიტშემადგენლობა ღებულობდნენ მონაწილეობას. შაბათობას დაესწრო სამხედრო კომისარიც.

მუშაობის დროს ლეგიონის ეზოში უკრავდა სამხედრო ორკესტრი.

ჯერ გასუფთავებულ იქნა მთელი ლეგიონის ყაზარმები და ეზო. შემდეგ მუშაობის გათავებისა, ორკესტრის თანხლებით წავიდნენ იქვე ახლო ცხენების სადგომ ბინის დასასუფთავებლად, მუშაობა თითქმის გაგრძელდა ნაშუადღევის 3 საათამდი.

შაბათობის გათავების შემდეგ, ისევ მუსიკით, ყველა წითელ-არმიელები დაიშალნენ თავ თავიანთ ესკადრონებში.

წ. არმ. სააკოვი.

პირველი ლეგიონის ლაგერში.

ლეგიონში პოლიტიკური მუშაობა კარგათ მიმდინარეობს. პოლიტ-საათი ტარდება პროგრამის მიხედვით, მხოლოთ წვიმიან დღეებში, შენობის უქონლობის გამო პოლიტ-საათის ჩატარება მოუხერხებელი ხდება.

პარტიული მუშაობაც გაჩაღებულია წით. არმიელებში.

პარტიაში შესვლის მსურველნი ბევრნი არიან.

ლეგიონის პ. მომუშავეებს მშრომელი გლეხობაც არ დაუვიწყნიათ, ყოველ კვირას დადიან სოფლებში და ეწევიან პარტიული და პოლიტიკური მუშაობას. მიაქვთ სოფლათ გაზეთები, გახსნეს სადაც მოსახერხებელი იყო სამკითხველოები, ჩატარებულ იქნა შემდეგი კომპანიები:

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ურთიერთ დამხმარე კომიტეტი, კოოპერაცია და სხვა.

გლეხები აღფრთოვანებულნი არიან ამ მუშაობით; ისინი ძლიერ მოწადინებულნი არიან პოლიტიკურ მეცადინეობას.

გლეხებსა და წითელ არმ. შორის შექმნილია მჭიდრო კავშირი. წით. არმიის პოლიტიკური მომუშავენი არ ჰკარგავენ დროს და აწარმოებენ მუშაობას სოფლად.

საჭიროა ყველა ნაწილებმა, რომლებიც სალაგეროთ არიან, მიჰბაძონ 1-ლ ლეგიონს და მათთაც გააჩაღონ მუშაობა.

ლეგ. სამხკორი ჩხიკვიშვილი.

დივჰოსპიტალში.

შაბათს, ივლისის 21 დივჰოსპიტალში გაიმართა საღამო. კლუბის დარბაზი სავსე იყო დაჭრილ-დაავადმყოფებულ წითელ არმიელებით ჰოსპიტალის თანამშრომლებით. სიტყვა საჰაერო ფლოტის შესახებ წარმოსთქვა ამხ. კულუმბეგაშვილმა, რომელიც ვრცლად შეეხო ტეხნიკის განვითარება-გაუმჯობესებას და საჰაერო ფლოტის მნიშვნელობას საბჭოთა რესპუბლიკებისთვის.

ცოცხლად და ლამაზათ შესრულებულ იქნა წითელ არმიელების მიერ ინსცენიროვკა „წითელი მფრინავი“.

კარგი იყო შარჟი „ტირილი მღვდელ-დიაკვნისა“, რომელმაც ბევრი აცინა დამსწრენი. კარგათ ჩატარდა დივერტისმენტი.

უნდა აღინიშნოს შემდეგი: დივჰოსპიტალს არა აქვს კლუბის შტატები. კლუბი კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჰოსპიტალისთვის. წითელ არმიელები ბლომათ არიან ადგილობრივ. ხშირად დაჭრილ-დაავათმყოფებულ წითელ არმიელებს თვეობით უხდებათ ყოფნა ჰოსპიტალში. კლუბი თავისი წრეებით დიდ სარგებლობას მოუტანთ მათ. წელიწადზე მეტი ვიყავი კლუბის გამგეთ ჰოსპიტალში და ვიცი როგორი ხალისით ეტანებოდნენ თავის ნაწილს მოწყვეტილი წითელ-არმიელნი ჩვენ კლუბსა და როგორი ენერგიით მუშაობდნენ წრეებში. ცენტრალურ კლუბის დრამწრეს დაევალა კვირაში ერთხელ გამართოს წარმოდგენები ჰოსპიტალში. ეს ცოტაა. საჭიროა საკუთარი კლუბი. ჰოსპიტალს არ მოეძებნება არავითარი თანხა კლუბის შესანახად. მას სჭირია დახმარება.

ელ. ხუციშვილი.

პარტიული ცხოვრება

მე-2-რე ლეგიონში.

ა. წ. 23 ივლისს მოხდა მე-2-რე ლეგიონის 1-ლი კომუჯრედის კრება:

კრებას თავჯდომარეობდა ამხ. ბრეგვაძე, მდივნობდა ამხ. პარკოსაძე.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. ინდივიდუალური აგიტაცია დეზერტირობაზე,
2. ცირკულიარის განხილვა.
3. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. პარკოსაძემ,, რომელმაც ვრცლათ გააცნო კრებას თუ როგორი აგიტაციას უნდა ეწეოდენ პარტ.-ამხანაგები, იმ უპარტიო ამხანაგებს შორის რომლებსაც ვერ შეუთვისებიათ საბჭოთა ხელისუფლება და მისი წითელი ჯარის ნაწილები.

მომხსენებელი მოუწოდებს პარტიის წევრებს, რომ თვითეულმა მათგანმა გასწიონ, რაც შეიძლება ფართო აგიტაცია და გაუთვალისწინონ იმ შეუგნებელ ამხანაგებს, თუ რას ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლება, და ვის ემსახურება მისი წითელი ჯარი. აგრეთვე მომხსენებელმა დაახასიათა თუ რა ზიანი მოაქვს დეზერტირობას და ვის უმაგრებენ დეზერტირები ზურგს.

მოხსენების დამთავრებისას იქნა შემდეგი, რეზოლიუცია მიღებული: მოვისმინეთ, რა მოხსენება ამხანაგ პარკოსაძისა, თუ როგორი აგიტაცია უნდა ეწეოდენ თვითეული პარტიული ამხანაგი დეზერტირობის წინააღმდეგ იმ უპარტიო შეუგნებელ მასაში, რომელთაც ვერ შეუგნიათ მუშურ გლეხურ ხელისუფლება, ვთვლით ვალდებულათ ჩვენს თავს, რათა ვაწარმოვოთ აგიტაცია დეზერტირობის წინააღმდეგ და არ დავზოგავთ ჩვენს ენერგიას მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

2. ცირკულიარის № 41 განმარტებას იძლევა ამხ. ქოჩირაშვილი, რომელმაც გააცნო ამხანაგებს ყოველივე აღნიშნული ცირკულიარში და მოუწოდა ყველას, რათა ებრძოლონ ყოველ გვარ უწესოებას, განსაკუთრებით ლოთობას, რაც დაუშვებელია პარტიის წევრების მიერ.

დასასრულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია მიღებული: მოვისმინეთ, რა მოხსენება ამხ. ქოჩირაშვილის ვალდებულათ ვთვლით ჩვენს თავს, რათა ვებრძოლოთ ყოველივე უწესოებას და ყოველივე ზომები ვიხმაროთ ასეთების წინააღმდეგ.

მიმდინარე საკითხების ამოწურვის შემდეგ კრება დაიშალა.

პარტკორი შ. მელიქაძე.

რაზელ გვწერენ

ცოტა რამ ქართულ დივიზიის საარტილერიო პარკის შესახებ.

დიდი ხანი არის მას შემდეგ, რაც გამოიცა ბრძანება ქართულ დივიზიისადმი, რომ შემოეღოთ ყველა ნაწილებში ქართულად საქმის წარმოება და რასაკვირველია თავის მხრივ ეს ბრძანება ქართული დივიზიის ყველა ნაწილებმა გაატარეს და კიდევაც ატარებენ ცხოვრებაში, მაგრამ ერთი საკვირველი რამ არის რად ვერ შესძლო ქარ. დივიზიის

ერთ-ერთ ნაწილთაგანმა სახელდობრ საარტილერიო პარკმა ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარება? ვკითხოთ რა არის ამის მიზეზი. არ არის საშუალება ამ ნაწილში ქართულად საქმის წარმოების შემოღებისა. თუ არ სურთ ზოგიერთ ვაჟბატონებს ამ ბრძანების საარტ. პარკის ცხოვრებაში გატარება? ჩემის აზრით პირველ მიზეზს ადგილიც არ აქვს აქ. და უფრო ჭეშმარიტება იქნებოდა, რომ გვეთქვა: ამ საქმეს დიდი კავშირი აქვს უსაფუძლო გაუგებრობასთან, რომელსაც მალე ბოლო უნდა მოეღოს.

წარმოუდგენელიც არის ქართულად საქმის წარმოების შესახებ ლაპარაკი, მაშინ, როდესაც ქართულ ენაზედ შემოსულ ქაღალდებს რუსულ ენაზედ აწერენ რეზოლიუციებს დროა მე მგონი საარტილერიო პარკის პირად შემადგენლობამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და სასტიკად დაიცვან დივიზიის ბრძანება.

ლიზა.

ახალი ამბები

ქალაქის ალმასკომში.

საავადმყოფოს აგება ს. მარტყოფში.

გადაწყვეტილია აგებულ იქნას ს. მარტყოფში საავადმყოფო. გეგმა უკვე შედგენილია.

სამეურნეო იარაღები მანგლისის მცხოვრებლებს.

მანგლისის მცხოვრებლებმა საერთო ძალით შეიძინეს მოსავლის მოსაკრეფი ორი მანქანა, რომლის ხმარების შესწავლას გლეხებისათვის, გაგზავნა ალმასკომის საადგილ მამულო განყოფილებამ აგრონომი მორავსკი.

საქართველოს დამშეულთა რაოდენობა.

დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ცნობებით ამ ჟამათ რესპუბლიკაში დამშეულთა რაოდენობა აღწევს: ახალქალაქის მაზრაში. 11,000 კაცი. ბორჩალოს მაზ. 6.000 კ.

ლეჩხუმის მაზრ. 10,000 კ. რაჭაში-14,000 კაც. და სამხრეთ ოსეთში 5,000 კ. სულ 46,000 კ.

რკინის გზაზე.

კახეთის რკინის გზის გაყვანა ქ. თელავამდე.

ამ დღეებში რკინის გზის უმაღლესი ეკონომიური კომისია მიემგზავრება კახეთში. კომისიის მიზანია სხვა დავალებებთან ერთად თელავის რკინის გზის სადგური, რომელიც დაშორებულია ქალაქს 5 ვერსით გადაიტანოს ქალაქში.

რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოების პლენუმი.

ამ დღეებში მოწვეულია რ. გ. კოოპერატივის მომხმარებელ საზოგადოების პლენუმი.

დახმარება ახალქალაქის მაზრას.

ახალქალაქის ალმასკომმა დამშეულთა დამხმარე კომიტეტისაგან მიიღო ორი მილიარდი მ. დამატებით. სიმიდის შესაძენათ დამშეული მცხოვრებლებისათვის.

რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე.

საქართველოს გამოფენის მომწყობ კომიტეტმა რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში უკვე გააგზავნა 7 ვაგონი სხვა და სხვა ჯიშის ცხოველებით და ფრინველებით დატვირთული.

მიწათ მოქმედების კომისარიატში.

ციმბირის ჭირი.

მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობით საქართველოში ეპიდემიური ხასიათი მიიღო ციმბირის ჭირმა (საქონლის) კომისარიატმა უკვე დაგზავნა მაზრებში ბეითლები ჭირის წინააღმდეგ საქონლის ასაცრელად.

ხელოვნება.

ლექცია ქართულ მუსიკის შესახებ.

ახლო მომავალში ილიკო აბაშიძე სახ. 2-რე კონსერვატორიაში წაიკითხავს ლექციას ქართულ მუსიკის შესახებ, და კრიტიკას ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოებთა შესახებ.

სახალხო ლოტბარის საღამო.

12 აგვისტოს რკინის გზის მუშების მიერ, გაიმართება მუშტაიდის კლუბში, დამსახურებულ მუშალოტბარის კვაჭანტირაძის პატივსაცემათ საღამო. საღამოზე კ. ფოცხვერაშვილი მიიღებს მონაწილეობას.

სამტრედიის სამუსიკო სასწავლებელი.

სამტრედიიდან ჩამოვიდა დელეგაცია, მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღსაძრავათ რათა სამტრედიის სამუსიკო სასწავლებელი გადატანილ იქნეს სახელმწიფო ხარჯზე.

მხატვარ გუდიაშვილის დაბრუნება.

სახელოვნო კომიტეტმა დაადგინა წინადადება მისცეს მხატვარ ლადო გუდიაშვილის, რათა იგი დაბრუნდეს საქართველოში აღნიშნულ კომიტეტის ხარჯზე.

სუმბათაშვილის „ღალატი“ კინოზე.

ამერიკული დიდი ფირმა მოელაპარაკა სუმბათაშვილს მისი დრამის „ღალატის“ კინოზე გადაღების შესახებ, ხსენებული ფირმა ახლო ხანში ჩამოვა საქართველოში ამ საქმის მოსაგვარებლად.

სამხედრო საქმე

სატელეფონო საქმე უცხოეთში.

იმპერიალისტურმა ომმა გამოიწვია რა მსოფლიო მეურნეობის დაქვეითება და დაშლა, ამავე დროს გამოიწვია ტეხნიკისა და მეცნიერების იმ დარგის განვითარება, რომელიც ომის მიზეზებს ემსახურებოდა. ამ გვარ დარგს წარმოადგენს ელექტრო-ტეხნიკაც. ის საშუალებანი, რომლითაც ეხლა ტელეგრაფისა და ტელეფონის პრაქტიკა სარგებლობს, უკვე მრავალი წლის წინათ ცნობილი იყო. მხოლოდ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ უწინ ომამდე ეს საშუალებანი სამეცნიერო ლაბორატორიის კედელთა გარეშე არ გამოსულიყვენ, ეხლა კი იგინი გადაიქცენ საზოგადოების საკუთრებად და ცხოვრებაში ფართოდ იხმარება. ეს განსაკუთრებით ტელეფონიის დარგში ემჩნევა. ჯერ კიდევ ომამდე მრეწველობის განვითარების სინამდვილემ წამოაყენა ქალაქის და საერთაშორისო ტელეფონის კავშირის საჭიროების მოთხოვნილება.

გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ რკინის მავთულების საშუალებით ტელეფონით ლაპარაკი შესაძლოა შედარებით მოკლე მანძილზედ—არა უმეტეს 150 კილომეტრისა. რკინის მავთული შემდეგში ბრინჯაოს მავთულით შესცვალეს. ბრინჯაოს მავთულმა მნიშვნელოვანად გაადიდა სალაპარაკო მანძილი, მხოლოდ პრაქტიკის მოთხოვნილება მაინც არ იყო ამით დაკმაყოფილებული.

გივისაიდმა, 25 წლის წინად, თეორეტიულად დაამტკიცა, რომ თუ მავთულში ჩაერთვის თვით ინდუქცია—ლაპარაკის გადაცემის მანძილი მატულობს. შემდეგში პუპინმა პრაქტიკულად განახორციელა ეს იმით, რომ თვით ინდუქცია ჩაურთავა კოჭების (კატუშკების) საშუალებით. თავდაპირველად პუპინის მეთოდის განსახორციელებლად სარგებლობდენ საჰაერო მავთულებით—როგორც რკინისა, ისევე ბრინჯაოს მავთულით. 1914 წელს ნიუიორკსა და სან-ფრანცისკოს შუა გაიხსნა სატელეფონო კავშირი 5500 კილომეტრის მანძილზედ და 1916 წ. მანრეალსა და ვანკუერის შუა, თითქმის 6000 კილომეტრის მანძილზედ.

მაინც, მიუხედავად ასეთი ბრწყინვალე გამარჯვებისა ამერიკის სივრცეზედ, გერმანიაში ეს საჰაერო გზები სატელეფონო საქმისათვის გამოუსადეგად იცნეს, ვინაიდან შეუძლებელია უზრუნველ იყოს ტელეფონის ხაზის რიგიანობა და, მაშასადამე, ტელეფონის კავშირის მართებული მოქმედება. უმთავრესი მიზეზი ამისა ატმოსფეროს ცვალებადობის გავლენაა და, მაშასადამე, შორს მანძილზედ ტელეფონის კავშირი ხშირად სწყდება. ამიტომ გერმანელები, მიუხედავად მათი ხელმოჭერილებისა, მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ სატელეფონო შორი კავშირისათვის კაბელის მოხმარებაა საჭირო. მრავალი ცდების შემდეგ კაბელისათვის საუკეთესო მასალად აღმოჩნდა გუტაფისი და, ხმის შორს მანძილზედ გადასაცემად და გასაძლიერებლად, კაბელის მოსაწყობად პუპინის მეთოდი იხმარეს: თვით ინდუქციის კოჭების სათანადო შერჩევით. თანამედროვე ხანაში კაბელების საშუალებით ლაპარაკი განხორციელდა რამოდენიმე ასეულ კილომეტრზედ. ეგრე მაგალითად, ამას წინად ბერლინსა და რეინის ოლქის შუა 600 კილომეტრის სიგრძის კაბელის გაყვანა დასრულდა. ეს კაბელი შეიცავს 3 მილიმეტრ დიამეტრის 24 წყვილ მავთულის და 2 მილიმეტრიან დიამეტრის 28 წყვილს. კოჭები ერთმანეთისაგან—1,7 კილომეტრზედაა დაშორებული. აღმოჩნდა, რომ პუპინის კოჭები ხელს უწყობენ ხმის მკაფიო გადაცემას და ბგერას სრულიად არ ამახინჯებენ. პუპინის კოჭები რუსეთშიაც შემოღებულია ნიკოლაევის რკინის გზაზედ. სიმენსისა და გოლკეს ფირმამ 1914—1917 წლებში გამოუშვა წყალქვეშა და მიწისქვეშა კაბელებისათვის პუპინის კოჭების კონსტრუქცია. ამ ფირმამ 1921 წლის გაზაფხულამდე გერმანიაში წყალქვეშა და მიწისქვეშა კაბელები 200.000 კილომეტრის სიგრძეზედ მეტი გაიყვანა. პუპინის მეთოდი იძლევა საშუალებას 600 კილომეტრზედ კაბელის საშუალებით გადაცემას, მხოლოდ ცხოვრება მეტს მოითხოვს და ამით არ კმაყოფილდება მრეწველობის ვითარება.

თანამედროვე ხანაში ტელეფონით ლაპარაკის სიშორის გასადიდებლად შემოიღეს ტელეფონის გამაძლიერებელი—ლიბენის სისტემის მილი.

პუპინის კოჭებისა და გამაძლიერებელის კომბინაცია ტეხნიკოსის ხელში იმ გვარად ძლიერი საშუალებაა ტელეფონით სიშორეზედ გადაცემაში, რომ ეხლა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგ. სიცილიისა და შვეციის ჩრდილოეთ ნაპირების შუა, 3500 კილომეტრის მანძილზედ—ტელეფონის კავშირის მოწყობა. და შორს არ არის ის დრო, როცა ყოველ აბონენტს, რომელიმე ევროპის ქალაქის ტელეფონთან შეერთებულს, შეძლება ექნება დაელაპარაკოს ატლანტის ოკეანეს იქით მყოფ პირს—ისეთივე წარმატებით, როგორათაც საკუთარ ქალაქის ფარგლებში.

ღირსშესანიშნავია აგრეთვე ავტომატიურ ტელეფონთა სადგურების განვითარება ევროპაში. გერმანიაში ამ გვარი სადგურები სიმენსისა და გალსკეს ფირმამ მოაწყო პოზნანში, დრეზდენში, ლაიპციგში, ჰაალეში და მიუნხენში.

სტოკჰოლმის სახელმწიფო ტელეფონის სამმართველომ გადასწყვიტა თავის ტელეფონთა სადგურების ამ გვარ ავტომატიურ სადგურად გადაშენება 500.000 აბონენტების დასაკმაყოფილებლად.

ამ სადგურის გეგმას ერიქს
ქარხანაში ამზადებენ. აქ არ შე
ლიან არ აღვნიშნოთ ერთ მავთ
ზედ რამოდენიმე აბონენტის ე
როული ლაპარაკი, მაგ. ბერ
ფრანკფურტის ტელეფონის ხა
10 კაცს (ყოველ სადგურზედ
ხუთს) შეუძლია ლაპარაკი. ამას
ეს ერთდროული ლაპარაკი ერთმა
არ უშლის და ხმის ყოველი კ
ტელეფონში წმინდათ მიიღება.
მანიაში, ამას გარდა, ხმარებაში
მოვიდა ნახევარ სადგური. ამ
გურში შედის ქალაქის მავთულ
რომლით სარგებლობა ყველა
ნენტს არა აქვს უფლება. ამ
ვარ სადგურებში ყველას ვისაც
ლება აქვს ქალაქთან ლაპარა
აქვთ დამატებითი შეერთება,
ლის საშუალებით აბონენტს შ
ლია, ქალაქთან ლაპარაკისას, შ
ყვიტოს ლაპარაკი შეერთების შ
ყვეტლივ, იმავე კომუტატორ
გამოიძახოს მეზობელი იმავე მ
როსთან, მოელაპარაკოს მას
ხელახლა განაახლოს ლაპარაკი,
ლაქის აბონენტთან. ამავე დ
ყველა ეს ისეა მოწყობილი,
მეზობელთან ლაპარაკი ქალ
აბონენტს არ ესმის.

გ. გ.

ბრძანება. № 103

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტიკური განყოფილებ

23 ივლისი 1923 წ. ქ. ტფილისი.

ქართულ დივიზიის ყველა ნაწილების კომისრებს, სამ
დრო კომისრების თანაშემწეებს, ნაწილების პასუხის მგებ
ორგანიზატორებს.

უსახსრობის გამო იძულებული გავხდით დროებით გა
„წითელ არმიელი“-ს გამოცემა შეგვეჩერებია. პოლიტ-განყ
ფილებას ღრმათ სწამს, რომ გაზეთის შეწყვეტა ერთი კ
რითაც კი დიდი დანაკლისი იქნება, როგორც კულტურულ
ნმანათლებელ მუშაობაში ისე სამწყობრო მუშაობის საქ
ში ქართულ ნაწილებში. ამიტომ გაზეთი ისევ თქვენ ლე
ონებმა, ათასეულებმა და ასეულებმა უნდა დააყენოთ ფეხ
ამიტომ გიბრძანებთ საჩქაროთ 25 ივლისიდან შე
გეთ გაზეთის კვირეულის ჩატარებას. გააშუქეთ გაზ. „წით
არმიელი“-ს მნიშვნელობა და გამონახეთ სახსარი, სალამ
ბის მოწყობით. თითო დღის ჯამაგირის გადადებით და სხ
დაუკავშირდით პარტიულ კომიტეტებს და საბჭოებს, ალმ
კომებს კვირეულის ხეირიანად ჩასატარებლად. სასწრაფო
გამოგზავნეთ საშეფო ფულიდან ხვედრი ფული, პროცენტ
პოლიტგანყოფილების სახელზე.

ბრძანება ესე სასწრაფოთ გადაეცეს ნაწილებს და
კითხულ იქმნას ყველა ლეგიონებში და ბატარეიებში.

ქართულ დივიზიის სამხედრო კომისარი და პოლიტგ
ყოფილების უფროსი: თენგიზ ჟღენტი.

სააგიტაციო-საპროპაგანდო ნაწილის უფროსი ეგიკოვ

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

გაზეთ „წითელი არმიელი“-ს რედაქცია და კ
ნტორა ამით აცხადებს სამხედრო ნაწილების საყურადღ
ბოდ, რომ ყოველ გვარი შემოწირულება, პროცენტული
დარიცხვა, საშეფო თუ სხვა ფული „წითელი არმიელი“
სასარგებლოდ **უნდა შედიოდეს პოლიტ-გა**
ყოფილების სალარაში, საიდანაც სათანა
საანგარიშო წესების დაცვით გადაეცემა რედაქციას,

განცხადება

ცენტრალური წითელ არმიელთა კლუბი (სასახლის ქ
№ 5) აძლევს იჯარით ბუფეტს. მსურველთ უნდა მიმართ
კლუბის უფროსს 8 დან 2—სათამდე.

დაჯარიმება. ქართულ საარტილერიო დივიზიის ცალკე
გაუბიცო ბატარეის წითელ-არმიელი ვლა
მერ ესებ-ძე მარგალიტაძის სახელობაზე პარ
კომისიის მიერ მოცემული დროებით მოწ
ბა № 161 ჩაითვალოს გაუქმებლად.

ნ. დ. ს. ც.
ტირაჟი 1200.
სამხედრო სტამბა